ხელშეკრულება №12

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ს.ურბნისი 11 აპრილი.2017 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - სოფელ ურბნისის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლია ელიაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ახალი ნათება (შემდგომში - მიმწოდებელი) დირექტორი ზურაბ გაბინაშვილი„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ნათურების და სხვა გასანათებელი მოწყობილობების შესყიდვა spv კოდით31500000 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 44.80 ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში მიმწოდებლის მისამართზე ქ. გორი სტალინის ქუჩა #8

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ -სოფ.ურბნისის---- საჯარო სკოლა ს/კ 240891237 მის: სოფელი ურბნისი ტელ:598377442 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიბერთი- ბანკი" ბანკის კოდი ა/GE62LB0121171692252000 დირექტორი/ლ.ელიაშვილი/ (ხელმოწერა) მ.ა	მიმწოდებელი: შ.პ.ს." ახალი ნათება მის.:ქ.თბილისი აღმაშენებლის ხეივანი მე12 კმ საბანკო რეკვიზიტები: სს პროკრედიტბანკი ს.კ 202066156 ბანკის კოდი MIBGGE22 ა/აGE74PC0053600100013179 შ.პ.ს. ახალი ნათება (ხელმოწერა) მ.ა

სოფ : ურბნისი 11 აპრილი.2017წ

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის ურბნისის საჯარო სკოლასა და შ.პ.ს. ახალი ნათებას“შორის 11. 04.2017წ #10 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად

მიღება-ჩაბარების აქტი

(საქონლის მიწოდების, გაწეული მომსახურების, სამუშაოს შესრულების)

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის ურბნისის საჯარო სკოლასა და შ.პ,.ს ახალი ნათებას “შორის 11.04.2017წ #10 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი : ერთის მხრივ “შემსყიდველი”-სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის ურბნისის საჯარო სკოლა, მისი წარმომადგენლის დირექტორის ლია ელიაშვილის სახით, ხოლო მეორეს მხრივ “მიმწოდებელი”, შ.პ.ს ახალი ნათება მაღაზია–სალონის მენეჯერი გიორგი ბიბილაშვილის სახით ვადგენთ აქტს მასზედ, რომ “მიმწოდებელმა” ჩააბარა, , ხოლო ჩამბარებელმა ჩაიბარა საქონელი, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა44.80 ლარი.

დანართი:

#	დასახელება	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	სანათი MX 300 Y22-QB-6500K	1	28,000	28
2	LED-E-C-module-16W-5700K-ENC OPPLE 6958001311455 /F109/	1	16,800	16,8
			ჯამი	44,80

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

მიიღო : ---------- ჩააბარა: ----------

(ლ.ელიაშვილი) შ.პ.ს. ახალი ნათება

სოფ: ურბნისი 11 აპრილი. 2017წ

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 51

თარიღი: 2017 წლის 12 04, ოთხშაბათი

გადამხდელის დასახელება:	სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ ურბნისის საჯარო სკოლა
ანგარიში (დებეტი):	GE62LB0121171692252000
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი:	LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:	სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისის საჯარო სკოლა
საიდენტიფიკაციო კოდი:	240891237
საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:	
მიმღების დასახელება:	შ.პ.ს .ახალი ნათება
საიდენტიფიკაციო კოდი:	202066156
ანგარიში (კრედიტი):	GE74PC0053600100013179
მიმღების ბანკი:	სს "პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი:	MIBGGE22
გადახდის დანიშნულება:	ნათურების ღირებულება

ხელმოწერა:

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

GEL

GEL

44.80

თანხა სიტყვიერად

ორმოცდათხი GEL და 80

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 12.04.2017

ხელმოწერა:

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK